

დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური - „ელიტურ კორუფციასთან“
ბრძოლის ეფექტური მექანიზმი თუ დამატებითი ბიუროკრატია?

მარიამ ლელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე საჯარო*

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ლელაშვილი

პირველი ივლისი, 2019 წელი

რეზიუმე

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დაადგინოს წარმოადგენს თუ არა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური „ელიტურ კორუფციასთან“ ბრძოლის ეფექტურ მექანიზმს და მიზანშეწონილია თუ არა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციის გათვალისწინება ასეთი სამსახურის შექმნის შესახებ.

აღნიშნული საკითხის გადაჭრის მიზნით ნაშრომი უპირველესად შეისწავლის კორუფციის ფენომენს, მის სახეობებსა და გამოვლინებებს. ანალიზებს საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქციების მატარებელ უწყებათა ნაკლოვანებებს. განსაზღვრავს კორუფციასთან ბრძოლის მსოფლიოში დამკვიდრებულ მოდელებსა და იმ კრიტერიუმებს, რომელსაც ნებისმიერი ასეთი სამსახური უნდა აკმაყოფილებდეს. ნაშრომის მეორე ნაწილი იკვლევს იმ წინაპირობებს, რომელიც განაპირობებს, კორუფციის, მათ შორის, „ელიტური კორუფციის“ დამკვიდრებას, აღიარებულ საერთაშორისო რეიტინგებზე დაყრდნობით ანალიზებს ამ მიმართულებით საქართველოში არსებულ მდგომარეობას და მის გავლენას „ელიტურ კორუფციასთან“ მებრძოლ ინსტიტუციებზე.

აღნიშნული საკითხები წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომში განხილულ ძირითად თემებს, რომლის ანალიზის საფუძველზეც შეიძლება დადგინდეს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების, გეოპოლიტიკური ვითარების, დემოკრატიის ხარისხისა და სხვა რელევანტური გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოში „ელიტურ კორუფციასთან“ ბრძოლის მიზნით დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის დაარსება იქნება დამატებითი ბიუროკრატია, გაუმართლებელი ხარჯითა და მიუღწეველი მიზნებით.

Abstract

The present Master's Thesis aims to determine whether an independent anti-corruption agency is an effective mechanism for fighting with an “elite corruption”, and whether it is reasonable to create such an agency recommended by various NGOs.

For resolving the named problem, the present thesis first of all examines the phenomenon of corruption, its types and forms of demonstration, analyzes the gaps of agencies fighting against corruption in Georgia and determines the models of fighting against corruption in the civil world as well as mandatory criteria for agencies dealing with mentioned tasks. The second part of the work on the basis of internationally recognized ratings examines the preconditions that lead to corruption, including an “elite corruption”, also analyzes the current situation in Georgia and its influence on the institutions fighting with an “elite corruption”.

The present issues are the main topics of the master's thesis. On the basis of its analyse it is possible to determine, that at current stage of economic development of Georgia, taking into account its geopolitical situation, the quality of democracy and other relevant circumstances, creation of an independent body for fighting against “elite corruption” will face to additional bureaucracy with unreasonable expenses and unreachable goals.